



„მედია სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნებისთვის“

პირველი შუალედური ანგარიში

2012 წლის ივლისი

(მონიტორინგის პერიოდი: 1-15 ივლისი)

შედგენილია „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ და „მემო 98“-ის მიერ

ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

1. პროექტის მიმოხილვა.....	3
3. მონიტორინგის მიზნით განხორციელებული შენჩევა.....	4
4. მეთოდოლოგია.....	6
5. გამოკვეთილი ტენდენციები (მიგნებები).....	8
5.1. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.....	8
5.2. კერძო, ნაციონალური მაუწყებლები.....	10
5.2.1. ტელეკომპანია „რუსთავი 2“	10
5.2.2. ტელეკომპანია „იმედი“	11
5.2.3. ტელეკომპანია „რეალ ტვ“	11
საინფორმაციო გამოშვებები.....	11
5.2.4. ტელეკომპანია „მაესტრო“.....	12
5.2.5. ტელეკომპანია „მეცხრე არხი“	14
5.2.6. ტელეკომპანია „კავკასია“.....	15
5.3. რეგიონალური ტელეკომპანიები.....	16
5.3.1. ტელეკომპანია „აჭარა“.....	16
5.3.2. ტელეკომპანია „25-ე არხი“	17
საინფორმაციო გამოშვებები.....	17
5.3.3. ტელეკომპანია „რიონი“	18
5.3.4. ტელეკომპანია „მეგა ტვ“.....	19
საინფორმაციო გამოშვებები.....	19

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

1. პროექტის მიმოხილვა

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით ახორციელებს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის პროგრამას საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე. ქარტიის მონიტორთა 6-კაციანი ჯგუფისთვის საწყისი ტრენინგი გამართა სლოვაკურმა ორგანიზაცია „მემო 98“-მა. ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფს მენტორობას. მონიტორინგის მიზანია თერთმეტი სატელევიზიო არხის მუშაობის ანალიზი. მედიამონიტორინგის კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება მონიტორინგის სამ, ყოველსმომსვენ ანგარიშში. ეს ანგარიშები გავრცელდება მედიაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიებსა და საერთაშორისო საზოგადოებაში.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მონიტორინგის გუნდმა 2012 წლის 1 ივლისს დაიწყო მედიამონიტორინგის სამთვიანი პროგრამის განხორციელება. მონიტორინგის მიზანია მედიის შინაარსის თვისებრივი ანალიზით დეტალურად გამოავლინოს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა თემის გადმოცემა. მონიტორინგი ისეა დაგეგმილი, რომ სიღრმისეულად ასახოს მედიაში პლურალიზმისა და მრავალფეროვნების მდგომარეობა. მთავარი აქცენტი არჩევნების გაშუქებაზე კეთდება. ამ პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია თითქმის ორი ათეული წელია, რაც აპრობირებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში. ამასთანავე, მთელი ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული მეთოდოლოგია მუდმივად უმჯობესდებოდა და იხვეწებოდა. პროექტის ხანგრძლივობა და რეგულარულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ პერიოდულად შევადაროთ სატელევიზიო არხების ეთერის შინაარსი.

ქარტია მონიტორინგის საბოლოო შედეგებს „მემოსთან“ მჭიდრო თანამშრომლობით მოამზადებს, მასში შეათვასებს საქართველოში 11 სატელევიზიო არხის წინასაარჩევნო ეთერის თვისებურებებს და წარმოადგენს დეტალურ ანალიზს. ასეთი მიდგომა შექმნის უფრო სიღრმისეულ სურათს. საბოლოო შედეგებში მოცემული იქნება მნიშვნელოვანი დამატებითი კომენტარები, რომლებიც კონტენტის ანალიზს უკავშირდება და რომლებშიც შეფასებულია ბალანსი, სამართლიანობა, ობიექტურობა, სიზუსტე, აქტუალობა და გაშუქების მასშტაბი. გამოვლენილ ტენდენციებს სისტემატურად აღვწერთ: ერთი მხრივ, მიუკერძოებლად ავსახავთ მედიის შინაარსობრივ მხარეს, მეორე მხრივ, ეს სასარგებლო იქნება მედიის დახმარების სხვა პროგრამებისთვის. შინაარსზე დაფუძნებული ანალიზის მეშვეობით მონიტორები განსაზღვრავენ, უმჯობესდება თუ არა მედიის საქმიანობა პროექტის განხორციელების პროცესში; გამოავლენენ სიცრუეს, დარღვევებს, დაუბალანსებელ გაშუქებას, მანიპულაციას, უსამართლობას, უზუსტობას, მიკერძოებას ან სხვა მნიშვნელოვან უარყოფით ტენდენციებს.

ქარტია ამჟამად მონიტორინგის შედეგებს ამუშავებს მათი ვებგვერდზე განთავსების მიზნით.¹ ვებგვერდზე წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია პროექტის შესახებ, მეთოდოლოგიის აღწერა, ანგარიშები და მონიტორინგის სხვა მონაცემები, დღის წესრიგი (საარჩევნო ღონისძიებების კალენდარი) და არჩევნებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაცია. ასევე მოცემულია ბმულები, საიდანაც შეიძლება გადასვლა შესაბამისი დაწესებულებებისა და პოლიტიკური პარტიების ვებ-გვერდებზე. ამას გარდა არის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მედიისა და პროფესიული ასოციაციების მიერ დაწერილი სტატიები (სვეტები) თემაზე „მედია და არჩევნები“.

მონიტორინგის შვიდი კვირის განმავლობაში ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და „მემო 98“ ერთობლივად შემუშავებული მეთოდოლოგიით თვისებრივად გაანალიზებენ მედიის მიერ გაშუქებულ მასალებს. ასევე წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში მოვანყობთ კვლევის მთავარი მიგნებების პერიოდულ საჯარო პრეზენტაციებსაც. საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია, რომელშიც

¹ <http://qartia.org.ge>

მოცემული იქნება როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის ყველა ასპექტი, ასევე დასკვნები და რეკომენდაციები, არჩევნების შემდეგ არის დაგეგმილი.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია დამოუკიდებელი, არამომგებიანი ორგანიზაციაა. იგი პროფესიული ქსელია. ქარტია 2009 წლის დეკემბერში დაარსდა და დღეს მას 213 წევრი-ჟურნალისტი ჰყავს. ქარტიის მიზანია პროფესიული სტანდარტების შემუშავება და საზოგადოების ნდობის ამაღლება მედიის მიმართ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას 9 არჩეული პირისგან შემდგარი საბჭო მართავს. თავისი მიზნების მისაღწევად ქარტია მუშაობს სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი.

„მემო 98“² საერთაშორისო დონეზე აღიარებული, დამოუკიდებელი და არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც მედიამონიტორინგის ექსპერტებისაგან შედგება. აღნიშნულ ექსპერტებს 14-წლიანი გამოცდილება აქვთ შემდეგ სფეროებში: მედიამონიტორინგი, კვლევა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში მხარდაჭერა. „მემო 98“ ძირითადად აღიარებულია საარჩევნო პროცესის განმავლობაში მედიის ანალიზის და მონიტორინგის სფეროში. მათი ექსპერტები მონაწილეობდნენ 90-ზე მეტ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით და 100-ზე მეტი პროექტი განახორციელეს 35 ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებთან დაკავშირებით.

2. ამოცანები

პროექტის მთავარი ამოცანაა საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორია მედიის ქცევა წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში. ასევე მისი ამოცანაა, ხელი შეუწყოს დისკუსიას მედიის მიერ მოვლენების გაშუქების ობიექტურობის და ხარისხის შესახებ.

კონკრეტული ამოცანა: მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება მედიის ქცევის შესახებ საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

3. მონიტორინგის მიზნით განხორციელებული შერჩევა

შესაბამისი მედიის შერჩევის კრიტერიუმები დავადგინეთ იმის მიხედვით, თუ რა ზეგავლენას ახდენენ ისინი პოტენციურ ამომრჩევლებზე. მედიის შერჩევისთვის ასევე გამოვიყენეთ დამატებითი კრიტერიუმები: მფლობელობის სტრუქტურა (კერძო/სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მედია, კომერციული/საზოგადოებრივი მუწყებლები) და გეოგრაფიული განაწილება (ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი).

წინამდებარე ანგარიში პირველია, რომელიც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ და „მემო 98“-მა მოამზადეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელებული ერთობლივი პროექტის „მედია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ოფიციალური კამპანიის დაწყებამდე პერიოდში (1-15 ივლისი) განხორციელდა შემდეგ მედია საშუალებებში:

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, კავკასია, მაცსტრო, მე-9 არხი, რეალ ტვ, რიონი ტვ და მევა ტვ (ქუთაისი), აჭარის ტვ და 25-ე არხი (აჭარა).

² www.memo98.sk

მედიამონიტორინგის ყურადღების ცენტრში იყო საუკეთესო საეთერო დროს (ე.წ. “პრაიმ ტაიმის”) (19:00-24:00) დროს გაშვებული ყველა პროგრამა. გადაცემების ტიპის მიხედვით მონიტორინგის გუნდმა შეაფასა:

- ა) ახალი ამბების გამოშვებები;
- ბ) პოლიტიკური თოქშოუები;
- გ) იუმორისტული გადაცემები.

ახალი ამბების გამოშვებები

- რამდენად შესაბამისია თემა და რამდენად აქტუალურია ახალი ამბები;
- სიზუსტე (ფაქტების საფუძველზე ჩატარდა კვლევა, ასევე მომზადდა გრაფიკები და დიაგრამები);
- ფაქტები და მათი გამიჯვნა მოსაზრებებისგან;
- წყაროებთან მუშაობა;
- ბალანსი;
- პოლიტიკური ახალი ამბების გაშუქების ტონი;
- სიუჟეტის ზოგადი შეფასება;
- გაშუქების ტექნიკური ასპექტები (ვიზუალური და აუდიოხარისხი).

პოლიტიკური თოქ-შოუები

- თემის შერჩევა აქტუალობის მიხედვით;
- სტუმრების შერჩევა თემის მიხედვით;
- ჟურნალისტის მომზადება;
- დაბალანსებული გაშუქება ჟურნალისტის მიერ;
- საერთო შთაბეჭდილება თოქშოუს შესახებ.

იუმორისტული პროგრამები

- თემის შერჩევა აქტუალობის მიხედვით;
- წამყვანის პროფესიონალიზმი და მიუკერძოებლობა;
- სიტუაციის ენა;
- ზოგადი შთაბეჭდილება წამყვანის შესახებ.

4. მეთოდოლოგია³

მონიტორინგის გუნდმა მედიის მონიტორინგისთვის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისი თვისებრივი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები გამოიყენა. მეთოდოლოგია კონტენტზეა ორიენტირებული. მისი მეშვეობით მონიტორინგები აკვირდებიან, რამდენად დეტალურად და მრავალფეროვნადა არიან წარმოდგენილია მედიის მიერ მომზადებულ სიუჟეტებში მონიტორინგისთვის შერჩეული სუბიექტები, როგორ შექდება თემები. მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი და შეფასება, თუ როგორია პოლიტიკური მრავალფეროვნების ამჟამინდელი დონე მედიის სიუჟეტებში. ეს სათანადო კონტექსტშია შემონიშნული.

თვისებრივი ანალიზი

თვისებრივი მეთოდოლოგია ყურადღებას ამახვილებს სიუჟეტების შინაარსზე. ამგვარად, მონიტორინგის გუნდი აქცენტს აკეთებს მედიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე, საბოლოო დასკვნებს აკეთებს მისი სტრუქტურის შესახებ (თემები და საკითხები), ასევე თითოეული მედიასაშუალებების მიერ თემის გაშუქების ხარისხს აფასებს საერთო ინფორმაციული ღირებულების საფუძველზე.

თვისებრივ ანალიზში სუბიექტურობის რაიმე ელემენტის აღმოფხვრის მიზნით „მემო 98“ ხშირად ამონიშნებს, თუ როგორ აკეთებენ მედიის ანალიზს ინდივიდუალური მონიტორინგები. იქ, სადაც კონკრეტული სიუჟეტის შეფასების მიმართ განსხვავებული აზრი არსებობს, საბოლოო გადამწყვეტილების მიღებამდე ამგვარ სიუჟეტს მონიტორინგის მთლიანი გუნდი (ან გუნდის ლიდერი) შეაფასებს ხოლმე.

თვისებრივი ანალიზისთვის მონიტორინგებს მოეთხოვებათ, რომ შეათვალნ:

- კონკრეტული სიუჟეტების თანამიმდევრობა და თემების აქტუალობა;
- პოლიტიკური მრავალფეროვნების ხარისხი გაშუქებულ მასალაში;
- ჟურნალისტების ცოდნა და უნარი, თუ რამდენად შეუძლიათ მათ ფაქტებსა და ინფორმაციაზე მუშაობა;
- ავტორის შესაძლებლობა, რომ უზრუნველყოს აუდიტორიის ჩართულობა;
- ინტერვიუს ჩანერისას არის თუ არა შეკითხვები სამართლიანი ან „დატვირთული“;
- რამდენად უწყობს ხელს ჟურნალისტის ენა, რომ აუდიტორიამ ადვილად აღიქვას თემა და მიმდინარე მოვლენები;
- ვიზუალიზაციის (კამერის რაკურსი, კადრი, ფოტომასალა, გრაფიკული გამოსახულება და სხვა) რა საშუალებებს და როგორ იყენებს მედიასაშუალება, რომ აუდიტორიამ მონიტორინგის სუბიექტები და განსახილველი თემები ადვილად აღიქვას;

³ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ოთხი ორგანიზაცია (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, ინტერნიუსი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტი (ISFED) და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)) ოქტომბრის არჩევნებამდე მედიის ყოვლისმომცველ რაოდენობრივ მონიტორინგს ატარებდა, „ქართიამ“ და „მემომ“ გადამწყვეტეს, რომ თავიანთი მონიტორინგი მედიის გაშუქების თვისებრივ ასპექტებზე ჩაეტარებინათ.

- რამდენად ჩართულია ჟურნალისტი სიუჟეტში.

თვისებრივი ანალიზის შედეგები ქვემოთ მოცემული ხუთბალიანი სისტემის მიხედვით შეფასდა:

- ძალიან დაბალი ხარისხი – 1
- ცუდი, გარკვეული ნაკლოვანებებით - 2
- ტექნიკურად მისაღები ხარისხი - 3
- კარგი ხარისხი - 4
- მაღალპროფესიული ხარისხი - 5
- შეფასებას არ ექვემდებარება - ა/შ (არ შეესაბამება)

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ შეფასების ობიექტია მედიასაშუალებების და არა მონიტორინგის სუბიექტების ქცევა. მონიტორინგი განსაკუთრებით აქცევდნენ ყურადღებას, უქმნიდა თუ არა რომელიმე მედია საშუალება დადებით ან უარყოფით განწყობას მაყურებელს რომელიმე სუბიექტის ან თემის მიმართ. თუ, როგორც მოხდა მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება - დადებითად, უარყოფითად თუ ნეიტრალურად. შეფასების შკალა შემდეგი მიზნით გამოიყენება: დადებითი შეფასება ნიშნავს, რომ ახალ ამბებში მონიტორინგის კონკრეტული სუბიექტის გაშუქება კეთილგანწყობით მოხდა. ნეიტრალური შეფასება ნიშნავს, რომ გაშუქება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტობრივი იყო, რაიმე დადებითი თუ უარყოფითი კონოტაციის გარეშე. უარყოფითი შეფასება ნიშნავს, რომ სუბიექტი უარყოფითად, ან ძალიან უარყოფითად გააშუქეს. ამგვარ გაშუქებას სიუჟეტსა თუ რეპორტაჟში გამოყვანილი სუბიექტის შესახებ უარყოფითი კონოტაციები, ბრალდებები ან კრიტიკა ახლავს თან.

მონიტორინგის სუბიექტები:

- პრეზიდენტი
- მთავრობა (მთლიანად მთავრობის და ცალკეული მინისტრების ჩათვლით)
- ადგილობრივი თვითმმართველობა
- საარჩევნო ადმინისტრაცია (რაშიც შედის ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და უბნის საარჩევნო კომისიები, ასევე ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია)
- პოლიტიკური პარტიები⁴.

⁴ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება - რომელშიც შედის დემოკრატიული საქართველო, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, კონსერვატიული პარტია და მრეწველობა გადაარჩინს საქართველოს; საქართველოს გზა, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - გაერთიანებული საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, ალორძინების დემოკრატიული კავშირი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, სახალხო კრება, ამომრჩეველთა ლიგა (მოქალაქეთა კავშირი), მწვანეთა პარტია, თეთრები (თემურ შაშიაშვილი) და დამოუკიდებელი კანდიდატები.

5. გამოკვეთილი ტენდენციები (მიგნებები)

5.1. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი საინფორმაციო გამოშვებები

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს საინფორმაციო გადაცემებისათვის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ძირითადად მერყეობს მისაღებ და მაღალ ხარისხს შორის. მაღალპროფესიული დონის მაჩვენებელი გამოიკვეთა წყაროების იდენტიფიცირების ნაწილში. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული თემები აკმაყოფილებდა შესაბამისობის მოთხოვნებს, იყო აქტუალური.

ამავდროულად უნდა შეფასდეს ფაქტების სიზუსტე და კომენტარების გამიჯვნის კრიტერიუმები. თუმცა, ფაქტების სიზუსტესთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გამოვლინდა მოკვლევითი მასალების ნაკლებობა. მონიტორინგის პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საუკეთესო შედეგი აჩვენა წყაროების იდენტიფიცირების თვალსაზრისით.

ინფორმაციის დაბალანსებულად მონოდების თვალსაზრით საზოგადოებრივი მაუწყებელი „მისაღებსა“ და „კარგ ხარისხს“ შორის მერყეობს. თუმცა, უარყოფითად უნდა შეფასდეს საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ მინისტრის ვიზიტებისათვის საინფორმაციო გამოშვებებში ხანგრძლივი დროის დათმობა და გაშუქების პოზიტიური ტონი. მაგალითად, 2 ივლისს 4 წუთი დაეთმო პრემიერ მინისტრის მიერ მომდევნო 4 წლიანი სამთავრობო გეგმის წარმოდგენას. ასევე, 5 აგვისტოს, 5 წუთიანი სიუჟეტი მიეძღვნა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს სოფელ ხრეთში, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი პრობლემების გაცნობას.

ფაქტების არასრულად წარმოჩენის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ევროპარლამენტში საქართველოს საკითხის განხილვის გაშუქება, 5 ივლისის 20:00 საათიან „მომამბეში“. სიუჟეტში მონოდებული იყო ინფორმაცია ევროპარლამენტში საქართველოს საკითხის განხილვაზე. გამომსვლელთა სიტყვების მხოლოდ ის ნაწილები იყო გამოყენებული, რომლებიც ხელისუფლებისადმი მხარდაჭერასა და ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას შეიცავდა. სიუჟეტში არ მოხვდა იმ გამომსვლელთა შეფასებები, ვინც საქართველოს ხელისუფლებისადმი კრიტიკულად იყო განწყობილი.

პოლიტიკური თოქ-შოუ

არხზე არსებული სამი თოქ-შოუდან ყველაზე დაბალანსებულად უნდა შეფასდეს გადაცემა „ევროპული არჩევანი“. რაც შეეხება „აქცენტებსა“ და „დიალოგს“, უნდა აღინიშნოს, რომ თოქ-შოუს წამყვანები ვერ ახერხებენ ბოლომდე მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვას, რაც ვლინდება სახელისუფლებო და ოპოზიციური სუბიექტებისადმი შეკითხვების დასმის მანერაში. საილუსტრაციოდ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: 15 ივლისის გადაცემა „აქცენტებში“ წამყვანმა საქართველოს პარლამენტის წევრს, აკაკი მინაშვილს, შეკითხვა დაუსვა შემდეგი სახით: „მე და თქვენ რაში გვჭირდება 1000-ლარიანი ვაუჩერი, ბატონო აკო, პოპულიზმში ხომ არ არის შეჭიბრი ივანიშვილთან?“⁵ მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი ხელსუფლების წარმომადგენელთან საუბარში აქტიური იყო და ბევრ კრიტიკულ შეკითხვასაც სვამდა, ეს კითხვა ბიძინა ივანიშვილთან მიმართებით დისკრიმინაციულად უნდა შეფასდეს.

⁵ უნდა განიმარტოს, რომ შეკითხვა ეხებოდა საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრის ეკონომიკურ სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს თითოეულ ოჯახზე 1000 ლარის ოდენობის ვაუჩერის გაცემას.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში პრაიმ-ტაიმში იუმორისტული გადაცემა არ გადიოდა, შესაბამისად, არხი ამ მიმართლებით ვერ შეფასდება. საერთო ჯამში, საზოგადოებრივი მაუწყებლის შედეგები უნდა შეფასდეს, როგორც მონიტორინგის პერიოდში მიმდინარე მოვლენების მისაღები და მაღალი ხარისხის გაშუქება.

5.2. კერძო, ნაციონალური მაუწყებლები

5.2.1. ტელეკომპანია „რუსთავი 2“

საინფორმაციო გამოშვებები

ტელეკომპანია მისაღები ხარისხით არჩევდა „შესაბამის“ და „აქტუალურ“ თემებს. „მისაღები“ ხარისხს ვერ აღწევდა ფაქტების სიზუსტითა და მონოდების ხარისხით; ის ძირითადად ამ ნიშნულს ქვემოთ არის, რადგან ტელეკომპანია არ იყენებს მოკვლევისა და ვიზუალიზაციის მეთოდებს. მისაღები ხარისხს ვერ აღწევს საინფორმაციო გადაცემების წამყვანების მხრიდან „ფაქტებისა“ და „კომენტარების“ გამოჯვანა. განხვავებულად მაღალი მაჩვენებელია წყაროების იდენტიფიცირების კრიტერიუმის შეფასებისას (კარგსა და მაღალპროფესიულს შორის), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანია ექსპერტებსა თუ მოქალაქეებს იმგვარად არჩევს, რომ მათ მიერ გამოხატული მოსაზრება ამყარებს რეპორტაჟში მონოდებული არხის პოზიციას.

ყველაზე დაბალი შეფასება არხმა მიიღო სიუჟეტების დაბალანსებულად მომზადების კრიტერიუმში - შეფასება ვერ აღწევს სუსტი ხარისხის ნიშნულს. მაგალითად, კარალეთის დასახლებაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ჩასვლისა და დევნილ მოსახლეობასთან მომხდარი ინციდენტის გაშუქებისას ოპოზიციონერთა ლიდერის, კალაძის მიმართ წაყენებული ბრალდებების⁶ საპასუხოდ პირველ დღეს კალაძის მხოლოდ რამდენიმე წამიანი სინქრონი გამოიყენეს,⁷ მომდევნო დღეებში კი ისიც არ უჩვენებიათ.⁸

ტელეკომპანიის მიერ ინფორმაციის დაუბალანსებლად მონოდების ფაქტს ადასტურებს ის გარემობაც, რომ არხი საანგარიშო პერიოდში მკვეთრად დადებითი ტონით აშუქებდა მთავრობაში მომხდარ საკადრო ცვლილებებს.

იუმორისტული გადაცემები

გადაცემა „ვანოს შოუ“ აკმაყოფილების თემის შესაბამისად შერჩევის კრიტერიუმს. ნიშანდობლივია, რომ მონიტორინგის სუბიექტების შესახებ ხუმრობები ძირითადად გვხვდებოდა შოუს წამყვანების მონოლოგებში, რომლებიც უნდა შეფასდეს როგორც არადისკრიმინაციული და მიუკერძოებელი. წამყვანი არ იყენებდა გადამეტებულ სტერეოტიპულ მიდგომებს.

⁶ არხი ხაზს უსვამდა, რომ კალაძე დაცვას უთითებდა ამოელოთ იარაღი, ასევე ივინებოდა, ანუ გამოირჩეოდა აგრესიულობით.

⁷ გამოყენებული იყო სინქრონი, სადაც კალაძე ამბობს, რომ მათ დაახვედრეს „ზონდერები“ ანუ ხელისუფლების მიერ სპეციალურად კონფლიქტისათვის მომზადებული ხალხი, თუმცა მისთვის არავის დაუსვამს შეკითხვა დაცვისათვის მიცემული მითითებების შესახებ.

⁸ კოალიცია „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეხვდა დევნილ მოსახლეობას სოფელ კარალეთში. შეხვედრაზე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებსა და კოალიციის წევრებს შორის მოხდა კონფლიქტი. კერძოდ, ერთ-ერთმა მოქალაქემ კახი კალაძე დაადანაშაულა მისი ძმის სიკვდილში, რადგან მან არ გადაიხადა გატაცებული ძმის გამოსასყიდი. ამის შემდეგ დაიძაბა სიუტაცია და შეხვედრა დასრულდა იმით, რომ კოალიციის წარმომადგენლები გამოაძევეს ქვების სროლით. მნიშვნელოვანია, რომ ყველა არხი ამ კონფლიქტს აშუქებდა სხვადასხვა რაკურსით.

5.2.2. ტელეკომპანია „იმედი“ საინფორმაციო გამოშვებები

ინფორმაციის „აქტუალობის“ და „შესაბამისობის“ კრიტერიუმით „იმედის“ შედეგები მერყეობს მისაღებას და კარგ ხარისხს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სიზუსტის თვალსაზრისით საინფორმაციო გამოშვებების ფაქტები გამყარებულია კარგ სტანდარტს მიახლოებული ხარისხით, აღნიშნულ სიუჟეტებში იმდენად მწირია მოკვლევითი მასალები და ვიზუალიზაცია, რომ საბოლოო ჯამში მისი შეფასება სიზუსტის მაღალი კრიტერიუმით შეუძლებელია.

ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნისას არხის ხარისხი მერყეობს მისაღებას და კარგს შორის. წყაროების იდენტიფიცირების თვალსაზრისით ტელეკომპანია ასევე უახლოვდება კარგ ხარისხს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტში მოქალაქეების გამოჩენისას არასდროს არ არის მითითებული ტიტრი - კონკრეტული პირის ვინაობის დამადასტურებელი.

მნიშვნელოვანია, რომ ბალანსი ოდნავ აღემატება სუსტ ხარისხს. ამის დამადასტურებელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კარალეთში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ჩასვლისა და დევნილ მოსახლეობასთან მომხდარი ინციდენტის გაშუქების ფაქტი. „იმედმა“ ის „რუსთავი 2“-ის მსგავსად გააშუქა.

მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ხელისუფლების მიმართ დადებითი ტონით. მაგალითად, თუშეთობის დღესასწაულის გაშუქებისას ჟურნალისტი მხოლოდ მთავრობის წევრთა იმ მოსაზრებებს იმეორებდა, რაც თუშეთში ცხოვრების ცვლილებას, ტურისტების რაოდენობის ზრდასა და ხალხის დასაქმებას ეხებოდა. ჟურნალისტს არ ჩაუწერია და, შესაბამისად, არ უჩვენებია არც ტურისტები, არც სასტუმროს მენეჯერები და არც ადგილობრივ მოსახლეობა. სიტყვები - „დასაქმება“ „დაზღვევა“ და „მეტი სარგებელი ხალხს“⁹ პრემიერ-მინისტრის შეცვლის შემდეგ ჟურნალისტების ტექსტებშიც არაერთხელ გაისმა. გარდა ამისა, მთავრობა სხვადასხვა თემამზე საუბრისას ჩანდა, მაშინ, როცა ოპოზიციის არხზე ძირითადად არჩევნებთან დაკავშირებით საუბრობდა.

იუმორისტული გადაცემები

გადაცემა „ღამის შოუ“ აკმაყოფილებს თემის შესაბამისად შერჩევის კრიტერიუმს. ნიშანდობლივია, რომ მონიტორინგის სუბიექტების შესახებ ხუმრობები ძირითადად გვხვდებოდა შოუს წამყვანების მონოლოგებში, რომლებიც უნდა შეფასდეს, როგორც არადისკრიმინაციული და მიუკერძოებელი. წამყვანები არ იყენებდნენ გადამეტებულად სტერეოტიპულ მიდგომებს.

5.2.3. ტელეკომპანია „რეალ ტვ“

საინფორმაციო გამოშვებები

თემის აქტუალობის მიხედვით საინფორმაციო გამოშვებები იმსახურებენ კარგ შეფასებას. რაც შეეხება სიზუსტეს, აქ მკვეთრად დაბალი მაჩვენებელი – სუსტი ხარისხი დათვლილია. უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტებისა და კომენტარების გამიჯვნის თვალსაზრისით, გამოვლენილი შეფასების - მისაღები ხარისხის მიუხედავად, ხარვეზები ამ კუთხით თვალშისაცემია. მაგალითად, 2 ივლისის გამოშვებაში ჟურნალისტი ნინო ბურჯანაძის გეგმებზე საუბრობს და ამბობს: „ნინო ბურჯანაძეს თითების დაკვნიტის სურვილი ახლა უფრო გაუმძაფრდა. გეგმა ასეთი იყო - ბურჯანაძის მომხრეებს არეულობა უნდა დაენწყოთ და ნაციონალებს დაბრალებოდათ“.

⁹ ხაზი უნდა გავეუსვათ, რომ ეს ფრაზები არის მთავრობის წინასაარჩევნო დაპირებების ძირითადი მესიჯები.

სიუჟეტების დაბალანსებულად მომზადების შეფასებისას „რეალ ტვ“ გამოირჩევა ყველაზე დაბალი მაჩვენებლით – სუსტი ხარისხი. აღნიშნულის დადასტურებაა 12 ივლისის ეთერში ტელეკომპანია „მაესტროს“ ანტენების დაყადაღების ფაქტთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტი, რომელშიც მხოლოდ პროკურორის პოზიცია იყო წარმოდგენილი, ხოლო „მაესტროსი“ – არა. დაუბალანსებლობის საუკეთესო დადასტურებაა გაშუქების ტონი, რომელიც მკვეთრად უარყოფითი იყო ოპოზიციური კოალიციის მიმართ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გასართობი ხასიათის გადაცემა „გოგოები“. მისი ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია თემის შესაბამისობის შეფასება. მონიტორინგის პერიოდში მაყურებელმა დადებით კონტექსტში იხილა უმრავლესობის წევრი ხათუნა გოგორიშვილი, რომელიც საუბრობდა სხვადასხვა თემაზე, მათ შორის, მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებზეც. აღსანიშნავია, რომ წამყვანი არ გამოირჩეოდა თემის ცოდნით და გადაცემის სტუმარს ნებისმიერ საკითხზე ეთანხმებოდა. გარდა ამისა, გადაცემების ციკლის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სტუმრად მონვეულ იქნა პოლიტიკოსი, რაც ასევე მიჩნეულ უნდა იქნეს ბალანსის დარღვევად.

5.2.4. ტელეკომპანია „მაესტრო“

საინფორმაციო გამოშვებები

შესაბამისობისა და თემის აქტუალობის მიხედვით ტელეკომპანია იმსახურებს კარგ შეფასებას, მისაღები ხარისხისკენ იხრება საინფორმაციო გამოშვებების სიზუსტე, რადგან ნაკლებად გამოიყენება მოკვლევითი ხასიათის მასალები თუ ვიზუალიზაციის სხვა საშუალებები. მისაღებია ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნის ხარისხიც. მიუხედავად იმისა, რომ წყაროების იდენტიფიცირების თვალსაზრისით ტელეკომპანიას აქვს საკმაოდ კარგი მაჩვენებელი, რომელიც მერყეობს კარგსა და მაღალპროფესიულს შორის, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი ტენდენცია: კერძოდ, ახალ ამბებში კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები ან მათთან ღიად დაკავშირებული პირები, მაგალითად, მამუკა არეშიძე, გია ხუხაშვილი და ირაკლი სესიაშვილი, წარმოჩენილი ჰყავთ, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები. ამ პირების ექსპერტებად წარმოჩენისას სასურველია, ჟურნალისტმა განმარტოს, რომ ისინი ამასთანავე ოპოზიციონერ სუბიექტთან დაკავშირებული პირები არიან, რაც მაყურებელს მისცემს შესაძლებლობას ადეკვატურად შეაფასოს მათი ხელისუფლებისადმი კრიტიკული კომენტარები.

ოდნავ აღემატება მისაღებ ხარისხს სიუჟეტების დაბალანსებულობა. მნიშვნელოვანია, რომ გამოვლინდა მკვეთრად დაუბალანსებელი სიუჟეტი, რომელიც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „ბანკი ქართუს“ აქციების აუქციონზე გატანას ეძღვნებოდა. სიუჟეტში ნაჩვენებია აღსრულების ბიუროს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია, ამის შემდეგ ბანკის პრეზიდენტისადმი წაყენებული რამდენიმე ბრალდება და ეჭვი აღსრულების პროცესისა თუ ბიუროს მიმართ. სიუჟეტიდან არ ჩანს, რომ ჟურნალისტი შეეცადა მოეპოვებინა წაყენებულ ბრალდებებზე აღსრულების ბიუროს წარმომადგენლის პასუხი.¹⁰

პოლიტიკური თოქ-შოუები

კარგ შეფასებას იმსახურებს არხზე არსებული პოლიტიკური თოქ-შოუები თემების ადეკვატურად შერჩევის თვალსაზრისით, თუმცა, არ შეიძლება, ასეთივე მაღლი შეფასება დაიმსახუროს თემის შესაბამისად მონვეულმა სტუმრებმაც, რადგან ისინი ძირითადად ოპოზიციური მხარის ინტერესებს წარმოადგენდნენ.

¹⁰ მითითებული სიუჟეტი არხზე გავიდა 2 ივლისის საინფორმაციო გამოშვებაში

გადაცემების: „არგუმენტები“, „პირდაპირი საუბრები“ და „პოლიტმეტრი“ წამყვანები გამოიჩინეს თემის ცოდნით, სტუმრებთან დაბალანსებული კომუნიკაციითა და არადისკრიმინაციული ენით, თუმცა გამოიკეთა რამდენიმე ხარვეზიც: ა) ზოგ შემთხვევაში სტუმრები არ იყვნენ კარგად ინფორმირებული გადაცემის იმდენად დიდი თემის შესახებ; ბ) სტუმრები საზოგადოებას წარუდგინეს როგორც ექსპერტები, რეალურად კი ისინი ირიბ კავშირში არიან სახელისუფლებო ან ოპოზიციურ პარტიებთან, ანუ იყვნენ მიკერძოებულები;¹¹ გ) იყო შემთხვევა, როცა წამყვანი ვერ ახერხებდა დებატების მოდელირებას, გადაცემის ნაწილზე გარკვეული კონტროლი დაკარგა, სტუმრების დებატების ფონზე წამყვანი სუსტად გამოიყურებოდა.¹⁰

განსხვავებულ შეფასებას იმსახურებს გადაცემა „სუბიექტური აზრი“. მისი ერთ-ერთი წამყვანი შალვა რამიშვილი ღიად უჭერს მხარს კოალიცია «ქართულ ოცნებას» და მის ლიდერს. შესაბამისად, მისი შეფასება აშკარად სუბიექტურია და უარყოფითადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ. არის შემთხვევები, როცა წამყვანი არ არის სათანადოდ მომზადებული და მის მიერ დასმული კითხვები რესპონდენტების მხრიდან კრიტიკის ობიექტი ხდება. მაგალითად, „სუბიექტური აზრის“ 10 ივლისის გადაცემის სტუმარი იყო ნოდარ ჯავახიშვილი, თემა - „ქართუ ჯგუფის“ აუქციონზე გაყიდვის მცდელობა. შალვა რამიშვილისა და უფრო მეტად მისი თანაწამყვანის, დიანა ტრაპაიძის, კითხვების, მოსაზრებების, ანალიზის აბსოლუტურ უმრავლესობაზე ჯავახიშვილი პასუხობდა, რომ ეს არ იყო სწორი. აღმოჩნდა, რომ წამყვანებმა არ იცოდნენ, რა გავიდა აუქციონზე გასაყიდად, როგორ შეიძლებოდა გაყიდულიყო ბანკი და ა.შ.

იუმორისტული გადაცემები

სატირულ-იუმორისტული გადაცემა „ყოველდღიური აბები“ თემის რელევანტურად შერჩევის თვალსაზრისით მაღალ შეფასებას იმსახურებს, თუმცა ასევე დადებითად ვერ შეფასდება წამყვანის მიუკერძოებლობის ხარისხი - იუმორისტული გადაცემა მთლიანად ხელისუფლების კრიტიკას ეძღვნება. მაგალითად, 2 ივლისის მთელი გადაცემის მანძილზე (17 წუთი) არც ერთი ხუმრობა არ იყო ოპოზიციამზე, მთელი დრო დაეთმო ხელისუფლების მიმართ მომზადებულ ხუმრობებსა და კრიტიკას, ერთი შემთხვევა იყო ელპ-ს ლიდერთან დაკავშირებით, ისიც უარყოფით კონტექსტში. წამყვანის ლექსიკაში გამოიყენება ფრაზები, რომლებიც შეიძლება სიძულვილის ენის გამოვლინებად მივიჩნიოთ. მაგალითად, ფრაზა „სისხლიანი ბაჩო“.¹²

5.2.5. ტელეკომპანია „მეცხრე არხი“

საინფორმაციო გამოშვებები

შესაბამისობისა და თემების აქტუალობის მიხედვით არხის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მისი შეფასება მერყეობს კარგსა და მაღალპროფესიულ ხარისხს შორის. ზუსტი ინფორმაციის მიწოდების, ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნის კრიტერიუმით ტელეკომპანია იმსახურებს შეფასებას – მისაღები ხარისხი, თუმცა, წამყვანების მიერ გაკეთებული კომენტარები ქმნის არხის მიკერძოებულობაზე საერთო შთაბეჭდილებას. მაგალითად, ჟურნალისტები იყენებენ ასეთი სახის ეპიტეტებს: ვანო მერაბიშვილი – „ბოლო იარაღი“, „რკინის კაცი“.

წყაროების იდენტიფიცირების კუთხით მეცხრე არხი უახლოვდება მაღალი ხარისხის მაჩვენებელს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როდესაც სიუჟეტი ეფუძნება ე.წ. „გავრცელებულ ინფორმაციას“, ანუ წყარო არ არის იდენტიფიცირებული. ეს თავის მხრივ გავლენას ახდენს ფაქტების ზუსტ გაშუქებაზე. მაგალითად, ქუთაისში ერთ-ერთ დასახლებაში ელექტროენერჯის ძაბვის

¹¹ 03.07.2012. გადაცემა; სტუმრები ზურაბ ბიგვადა და ვასილ ჭყოიძე.

¹² აქ იგულისხმება შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია.

დავარდნის გამო ტელევიზორების გადაწვა დაუკავშირეს გლობალ ტივის ანტენების დაყენების ფაქტს, თუმცა სიუჟეტში არ ჩანს ამ ფაქტის დამადასტურებელი წყარო, უფრო მეტიც, ამავე სიუჟეტში ჩანერილი დაზარალებული მოსახლეობიდან ამას არავინ ვარაუდობდა.

გამოვლინდა მიუკერძოებელი კომენტარების და რესპონდენტთა არათანაბრად. გადანაწილების პრობლემა. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის სლოგანის შესახებ წამყვანმა თქვა: „სიტყვები იცვლება, შინაარსი კი არა“ და რომ სლოგანებს „ექსპერტები ფუჭს და უშინაარსოს უწოდებენ“. ამასთან, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის კომენტარია მოცემული, რომლის შინაარსიდან ნაკლებად არის შესაძლებელი გავარკვევით, უშუალოდ სლოგანზე საუბრობს, თუ არა. ხოლო მეორე რესპონდენტი, გიორგი ცაგარეიშვილი, გარკვევით ამბობს, რომ კარგი სლოგანი და კარგი საქმე ქართულ ოცნებას ექნება. დასასრულ, ჟურნალისტი კვლავ აჭამებს, რომ ექსპერტთა მოსაზრებით ნაციონალური მოძრაობის სლოგანი ფუჭი და უშინაარსოა. დაუბალანსებლობის პრობლემის არსებობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საინფორმაციო გამოშვებებში უმეტესად მხოლოდ ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების საქმიანობა შექცდება, სხვა პოლიტიკურ ძალას ყურადღება არ ეთმობა.

პოლიტიკური თოქ-შოუები

არხზე გასული პოლიტიკურ თოქ-შოუ „მატრიცაში“ თემები შერჩეულია აქტუალობის მიხედვით, თუმცა წამყვანის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს იმ გარემოებამ, რომ მოწვეული სტუმრები, როგორც წესი, არ გამოხატავენ ერთმანეთისგან განსხვავებულ აზრს. წამყვანის მომზადების ხარისხთან დაკავშირებით პოზიტიურად არ შეიძლება შეფასდეს მსგავსი შეკითხვები: ა) „მშვიდობიან დროში შაშვინი არ მიმატოვებს, რას ნიშნავს? მე მისი ცოლი ვარ, თუ რა? წავიდეს ის თავის გზაზე – მე ჩემს გზაზე?“ ბ) ეს ხომ უკვე სამარცხვინოც აღარ არის, ეს კრიმინალური შემთხვევებია?“¹³

გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემაში მონაწილე პირები გამოირჩევიან ერთგვაროვანი პოზიციებით, ხოლო წამყვანი არ ცდილობს მათ დაუსვას კრიტიკული შეკითხვები გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტი ჯეროვნად ვერ ართმევს თავს ბალანსის დაცვის პრობლემას. ამასთან, წამყვანი იყენებს არაეთიკურ ტერმინოლოგიას, კერძოდ, ინფო 9-სთან დაპირისპირებულ „მედია ჯგუფის“ წარმომადგენლებს წამყვანი უწოდებს „მდევენლებს“, „მუტრუკებს“, „ნაძირლებს“ და ამბობს, რომ „ამ ადამიანების მშობელი რომ ვიყო, ან დედა, ან მამა, მე მათ სახლში არ შემოვუშვებდი“.¹⁴

მონიტორინგის პერიოდში არხზე იუმორისტული გადაცემები არ გადიოდა.

5.2.6. ტელეკომპანია „კავკასია“

საინფორმაციო გამოშვებებში

შესაბამისობისა და თემის აქტუალობა მერყეობს კარგსა და მაღალპროფესიულ სტანდარტს შორის. საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლები ყურადღება ეთმობა რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს. ტელეკომპანია მისალეები სიზუსტით აშუქებს მიმდინარე მოვლენებს, თუმცა შეიმჩნევა მოკვლევითი მასალების ნაკლებობა და ძალზე იშვიათად გამოიყენება ვიზუალიზაციის სხვა საშუალებები. მოკვლევითი მასალების ნაკლებობის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან მოქალაქეთა მიერ გამართული აქციის გაშუქება. მოქალაქეები ახლადდანიშნულ მინისტრს სთხოვდნენ მათ საკუთრებაში არსებული შენობიდან თვითნებურად

¹³ 2012 წლის 10 ივლისის გადაცემაში წამყვანმა კითხვა დაუსვა გიორგი ცქვიტავას, „მეცხრე არხის“ სამხედრო მიმომხილველს.

¹⁴ მითითებული გადაცემა ეთერში გავიდა 2012 წლის 5 ივლისს.

შეჭრილი დევნილები გამოესახლებინა. სიუჟეტის დროს ნაჩვენები იყო მხოლოდ საპროტესტო აქცია; არ უჩვენებიათ ის შენობა, რომელზეც იყო საუბარი, არ იყო წარმოდგენილი იქ მცხოვრები დევნილების და არც სამინისტროს პოზიცია.

ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნას ტელეკომპანია ახდენს კარგი ხარისხით. მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს წყაროების იდენტიფიცირების საკითხი: მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი ძირითადად ასახელებს რეპონდენტის სახელსა და გვარს, საინფორმაციო გამოშვებას არასოდეს არ ახლავს ტიტრი, რომელიც მისცემს მაყურებელს წყაროს იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

საინფორმაციო გამოშვებების ბალანსის დონე არ აკმაყოფილებს მისაღებ ხარისხს. ირღვევა ბალანსი ოპოზიციური ძალების სასარგებლოდ. მაგალითად, სიუჟეტში, რომელიც გადმოსცემდა საქართველოს მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, წარმოდგენილი იყო მმართველი პარტიის ერთი და ოპოზიციური პარტიის 6 წარმომადგენლის კომენტარები, რაც დროის თანაფარდობითაც და რაოდენობითაც აღემატებოდა პოზიტიურ კომენტარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტების უმეტესობა, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკურ და საარჩევნო თემებს, ყოველთვის სრულდებოდა ოპოზიციური ძალების წარმომადგენლის კომენტარით, რაც ქმნიდა ერთგვარ საერთო მთაბეჭდილებას ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ.

პოლიტიკური თოქ-შოუები

გადაცემა „სპექტრის“ შეფასება ძალზე რთული აღმოჩნდა ყველა კრიტერიუმის მიხედვით, რადგან მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი დღის თემას ირჩევდა, გადაცემის მსვლელობისას ხშირად იცვლებოდა თემები - არ ხდება ერთ ან ორ კონკრეტულ თემაზე კონცენტრირება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების მონაწილეობის თვალსაზრისით ბალანსი მკვეთრად არის დარღვეული, გადაცემაში პრაქტიკულად არ ჩანან ხელისუფლების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანის მომზადების ხარისხი არ შეიძლება შეფასდეს მისაღებად, უფრო მეტიც, წამყვანი ავლენს საკუთარ სუბიექტურ პოზიციას და იყენებს დისკრიმინაციულ ლექსიკას, მაგალითად, მან „გოჭივით გასუქებულად“ მოიხსენია NDI ოფისის ხელმძღვანელი ლუის ნავარო. ასევე აკეთებს მსგავსი სახის კომენტარებს: „იმიტომ მოხსნეს საწყალი ვანიჩკა, რომ ვერ დაიჭირა პოლიცია ხელში“; „ტვინი წაიღეს იმ იდიოტობაზე, ლაზიკაა თუ რა ქვია“.¹⁵

„ცხელი ხაზი“ და „ბარიერი“ გამოირჩევიან აქტუალური თემების შერჩევითა და თემის შესაბამისად მოწვეული რესპონდენტებით, თუმცა ასეთ მაღალ შეფასებას ვერ იმსახურებს წამყვანი, ალექსო ელისაშვილი, მიუკერძოებლობისა და დაბალანსებულობის თვალსაზრისით. ის ხშირად გამოთქვამს საკუთარ სუბიექტურ მოსაზრებებს, მაგალითად, „ხელმწიფის კარზე ატუბულები, და მერე სვამენ სიაში და პრეზიდენტის სურვილზე უკრავენ...“¹⁶, „ხეირიანი იდეა არ არის დასაქმების სამინისტროს შექმნა“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ გვხვდება მსგავსი სახის დაუბალანსებლობა მოწვეულ სტუმრებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში არხზე არ გადიოდა იუმორისტული შოუ.

¹⁵ პირველ შემთხვევაში საქმე ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის ფაქტს, ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას შავი ზღვის სანაპიროზე გააშენოს ახალი ქალაქი „ლაზიკა“.

¹⁶ საუბარია საქართველოს პრეზიდენტსა და მის გუნდზე.

5.3. რეგიონალური ტელეკომპანიები

5.3.1. ტელეკომპანია „აჭარა“ საინფორმაციო გამოშვებები

შესაბამისობისა და სიახლის კრიტერიუმის მიხედვით ტელეკომპანია აკმაყოფილებს მისაღები ხარისხის მოთხოვნებს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ საინფორმაციო გამოშვებაში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ადგილობრივი პრობლემების გაშუქებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანიის ინტერესის სფერო არ გამხდარა რეგიონში მომხდარი ისეთი საკითხები, რომლებიც სხვა ტელეკომპანიებმა გააშუქეს. მაგალითად, გონიოსა და ბათუმში სექს-ტურიზმის ქსელის გაფართოება, ტრეფიკინგის შესაძლო შემთხვევები, დელტინარიუმის შესაძლო დახურვისა და გასართობ ცენტრ „ციცინათელას“ გახსნის თემა.

ფაქტების სიზუსტის მოწოდების თვალსაზრისით, ტელეკომპანიის შედეგი მერყეობს დაბალსა და სუსტ ხარისხს შორის, რაც განპირობებულია მოკვლევითი მასალების ნაკლებობით. ამასთან შეიმჩნევა ფაქტებისა და კომენტარების გამიჯვნის პრობლემა (სუსტი ხარისხი). მაგალითად, 1 ივლისის გამოშვებებში სიუჟეტი მიეძღვნა საზღვაო სფეროში მოღვაწე ადამიანების დაჯილდოების ცერემონიას, რომელშიც საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილიც მონაწილეობდა. ჟურნალისტი გვარწმუნებს, რომ 2012 წლის დაჯილდოება საქართველოსთვის წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა რაში გამოიხატება ეს წარმატება, გაურკვეველი რჩება. ამ სიუჟეტიდან ასევე იკვეთება, რომ ტელეკომპანია არ იყენებს წყაროებს, თუმცა მუდმივად ახდენს გამოყენებული მწირი წყაროების იდენტიფიცირებას.

სიუჟეტების დაბალანსებულად მოწოდების ხარისხი მერყეობს სუსტსა და მისაღებ ხარისხს შორის. შეფასების აღნიშნულ კრიტერიუმში მოხვედრა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ტელეკომპანიის ეთერი მკვეთრად დაუბალანსებელია საქართველოს პრეზიდენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობების გაშუქებისას, გაშუქების ტონი არის მკვეთრად პოზიტიური. შედარებით დაბალანსებულია სხვა პოლიტიკური სუბიექტებისადმი მიძღვნილი სიუჟეტები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 6 ივლისის საინფორმაციო გამოშვებებში, ევროპარლამენტში საქართველოსთან დაკავშირებული დებატების გაშუქებისას ბალანსი მკვეთრად დაირღვა ხელისუფლების სასარგებლოდ, კერძოდ, სიუჟეტში კომენტარი გააკეთა ნაციონალური მოძრაობის სამმა წარმომადგენელმა¹⁷. ისინი განმარტავდნენ, რომ „საქართველო ფულზე არ იყიდება“, ხოლო ოპოზიციური ძალებიდან ჩანერილი იყო მხოლოდ თინათინ ხიდაშელი, რომელიც წარმოჩენილი იყო თავის მართლების პოზიციაში - „ნაგებული დებატების“¹⁸ გამო.

საინფორმაციო გამოშვებებში გვხვდება ფარული რეკლამის ნიშნებიც. კერძოდ, 8 ივლისის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ახალი კაფე-ბარის - „კანაპეს“ გახსნის შესახებ, რომელიც გახსნა ბათუმის მერმა. მთლიანობაში ჩანერილი იყო ორი რესპონდენტი - კაფე-ბარის მეპატრონე, რომელიც თავის კომენტარში ამბობდა, რომ ქვეყანაში არის ისეთი ხელისუფლება, „რომელიც ყველა პირობას ქმნის ბიზნესის წარმატებისათვის“ და თავად მერი, რომელიც დადებითად აფასებს ახალ-ახალი კაფეების გახსნას. საანგარიშო პერიოდში არხზე არ გადიოდა პოლიტიკური თემა-შოუ და იუმორისტული გადაცემები.

¹⁷ ჩიორა თაქთაქიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი და ნუგზარ წიკლაური.

¹⁸ აქ მნიშვნელოვანია განვმარტოთ, რომ თინათინ ხიდაშელი მონაწილეობდა ევროპარლამენტის შეხვედრაში და სიუჟეტში ისე იყო წარმოჩენილი, თითქოს ევროპარლამენტში დებატისას ოპოზიციის წარმომადგენლებმა ვერ წარმოაჩინეს სათანადო არგუმენტები.

5.3.2. ტელეკომპანია „25-ე არხი“

საინფორმაციო გამოშვებები

შესაბამისობისა და თემის აქტუალობის მიხედვით ტელეკომპანია უახლოვდება კარგ ხარისხს, თუმცა ფაქტების სიზუსტის თვალსაზრისით მას შედარების დაბალი მაჩვენებელი აქვს, მის მიერ გადაცემული მასალები არ არის მოკვლევითი ხასიათის. მაგალითად, ორჯერ გადაიყვანა სიუჟეტი აჭარის უმაღლეს საბჭოში ჩატარებული სხდომის შესახებ. ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა ოპოზიცია, არ დაუკონკრეტებია პარტია, არ გადაუმოწმებია, თუ რატომ არ ესწრებიან ოპოზიციის წარმომადგენლები სხდომას, იყო ეს პროტესტი თუ სხვა რამ.

კარგი ხარისხით ხდება ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა, ხოლო იდენტიფიცირებულ წყაროებზე დაყრდნობით ინფორმაციის მონოღების ხარისხი უფრო მეტად მაღალპროფესიული ხარისხისკენ იხრება.

ბალანსის თვალსაზრისით ტელეკომპანია უახლოვდება მისაღებ კრიტერიუმს. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას გამოვლენილ ტენდენციას, კერძოდ, ტელეკომპანიის ეთერით ხშირად შექცობოდა ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტივობა, როგორცაა: სამეურნეო ცენტრის გახსნა, კონფერენცია, ოფიციალურ დელეგაციებთან შეხვედრები, წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება, ფესტივალების ორგანიზება, სხვადასხვა ობიექტის გახსნა და ა.შ. აღნიშნული სიუჟეტები იყო საინფორმაციო ხასიათისა და კომენტარები ძირითად არ ერთვოდა. სიუჟეტების ტონი იყო ნეიტრალური, თუმცა, სიუჟეტების სიმრავლე საბოლოო ჯამში ემსახურებოდა ხელისუფლების პიარს.

ბ) პოლიტიკური თოქ-შოუები

პოლიტიკურ თოქ-შოუებში თემები და მონვეული სტუმრები შერჩეული ჰყავდათ ადეკვატურად, მისაღები ხარისხით. წამყვანები ამჟღავნებდნენ საკითხის ცოდნას. ასევე ეს გადაცემები დაბალანსებული იყო მონვეული სტუმრების თვალსაზრისით, წამყვანები იყვნენ მიუკერძოებელი და არ გამოხატავდნენ საკუთარ აზრს.

5.3.3. ტელეკომპანია „რიონი“

საინფორმაციო გამოშვებები

თემის შესაბამისობისა და სიახლის დროულად მინოდების თვალსაზრისით ტელეკომპანიის მაჩვენებელი მაღალპროფესიულ ხარისხს უახლოვდება. ფაქტების მონოდება მოკვლევითი და ვიზუალური მასალების საფუძველზე ხორციელდება სუსტი ხარისხით.

ფაქტებისა და კომენტარების გამიჯვნის თვალსაზრისით ტელეკომპანია ოდნავ აღემატება საშუალო შეფასებას (მისაღები ხარისხი). აღნიშნული შეფასება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ხშირად ტექსტი და კადრი არ შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, 3 და 6 ივლისის „დღის ამბებში“ „ქართული ოცნების“ პრეს-სპიკერი მათა ფანჯიკიძე ჩანდა კადრში, წამყვანი კი ერთ შემთხვევაში მანანა კობახიძის, მეორე შემთხვევაში კი ალექსანდრე ბარამიძის პერიფრაზს აკეთებდა. ეს შესაძლოა დამაბნეველი იყოს მაყურებლისათვის.

აღსანიშნავია, რომ „რიონი“ გამოირჩევა წყაროების იდენტიფიცირების მაღალი მაჩვენებლით.

რაც შეეხება ბალანსის შეფასებას, ის ვერ აღწევს მისაღებ ხარისხს. შედარებით დაბალი შეფასება გამოიწვია 6 ივლისის „დღის ამბებში“ გადაცემულმა სიუჟეტმა, რომელიც ეძღვნებოდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის (ასდუკ) მუშაობას და მიმდინარე სასიკეთო ცვლილებებს სიების დაზუსტების თვალსაზრისით, თუმცა არ მოუწოდებიათ ინფორმაცია

„ამომრჩეველთა ლიგის“ პრესკონფერენციის თაობაზე, სადაც მნიშვნელოვანი ეჭვები გამოთქვეს ამ საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში არ გადიოდა არც პოლიტიკური თოქ-შოუ და არც იუმორისტული გადაცემები.

5.3.4. ტელეკომპანია „მეგა ტვ“

საინფორმაციო გამოშვებები

შესაბამისობისა და თემების აქტუალობის მიხედვით „მეგა ტვ“ სხვა ტელეკომპანიებთან შედარებით ყველაზე დაბალ შეფასებას იმსახურებს. ეს, შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ ტელეკომპანიას კვირის განმავლობაში პრაიმ-ტაიმში მხოლოდ ერთი საინფორმაციო გამოშვება აქვს. აქედან გამომდინარე მონიტორინგის შედეგებიც მხოლოდ ამ ერთი გადაცემის მონაცემებს ასახავს. საინფორმაციო გამოშვებები ფაქტების სიზუსტის თვალსაზრისით უახლოვდება მისაღებ ხარისხს. ამავე ხარისხით არის გამიჯნული ფაქტები და კომენტარები და ხდება სიუჟეტების დაბალანსება. უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანიის ეთერში არ გადიოდა პოლიტიკური თოქ-შოუ და იუმორისტული გადაცემები.

6. დასკვნა/რეკომენდაციები

თემის შესაბამისობისა და აქტუალობის თვალსაზრისით ყველა ტელეკომპანიის შედეგი დაახლოებით ერთნაირად მაღალია და ის მერყეობს კარგსა და მაღალპროფესიულ სტანდარტს შორის, რაც უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ თითოეული არხის ინტერესში შედის მიმდინარე მოვლენების დროული გაშუქება. განსხვავებული შედეგები გამოვლინდა სხვა კრიტერიუმებზე დაკვირვებისას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დაუბალანსებლობის პრობლემა, რაც განპირობებულია საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის აქტივობების გაშუქებით. კერძოდ, მითითებულ სუბიექტებს საინფორმაციო გამოშვებებში უჩვეულოდ დიდი დრო ეთმობა, ამავდროულად შუქდება ისეთი აქტივობები, რაც არ შედის მათი კომპტენციის სფეროში და ატარებს ფარული წინასაარჩევნო კამპანიის ხასიათს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ტელეკომპანიების გაშუქების ტონიც, რაც განსხვავდება ტელეკომპანიების მიხედვით. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ არხის შეფასების შედეგი.

- ✓ საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა უნდა შეფასდეს როგორც „კარგ ხარისხს“ მიახლოებული. თუმცა, უმჯობესი იქნება, არხმა მეტი ყურადღება გაამახვილოს მოკვლევითი მასალების მომატებასა და ბალანსის ხარისხის გაზრდაზე, აგრეთვე პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანების მიუკერძოებლობაზე რესპონდენტებისათვის შეკითხვების დასმის დროს;
- ✓ „რუსთავი 2“-ის საქმიანობა, ზოგადად, შეიძლება შეფასდეს, როგორც მისაღებ კრიტერიუმს მიახლოებული (გამონაკლისია წყაროების იდენტიფიცირება), თუმცა საგრძნობლად დაბალი მაჩვენებელი აქვს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტში – ბალანსი. შესაბამისად, აუცილებელია, წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბალანსის თემასა და გაშუქების ტონს, სასურველია, ის იყოს ნეიტრალური მონიტორინგის ყველა სუბიექტის მიმართ. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე და არა მთავრობის დაპირებებზე.
- ✓ „იმედის“ მაჩვენებლები ძალზე უახლოვდება „რუსთავი 2“-ის შედეგებს. ტელეკომპანიამ სიუჟეტების მომზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მოკვლევითი მასალების არსებობას, ბალანსის ხარისხის გაუმჯობესებას, სუბიექტების შესახებ ნეიტრალური

ტონით მსჯელობას, პრობლემების აქცენტირებას და მათი გადაჭრის გზების ჩვენებას. ჟურნალისტებმა უნდა მოახერხონ ფაქტებისა და შეფასებების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

- ✓ „რეალ ტვ“ გამოირჩევა ყველაზე დაბალი შეფასებით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ არხი ვერ სცდება „სუსტ ხარისხს“ ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმების შეფასებისას, როგორებიცაა ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნა, გაშუქების ტონი, ბალანსი. სასურველია, არხმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს საინფორმაციო გამოშვებაში დასაქმებული ჟურნალისტების კომენტარების მიუკერძოებლობაზე, მათ ნეიტრალური ტონით უნდა განიხილონ ყველა სუბიექტი, ამავდროულად, თანაბარი დრო დაუთმონ თითოეულ მათგანს.
- ✓ „მესტროს“ საქმიანობის ხარისხი უახლოვდება კარგ კრიტერიუმს, თუმცა სასურველია არხმა ყურადღება გაამახვილოს კადრების იდენტიფიცირებისას ექსპერტებად მონვეული პირების ზუსტ სტატუსზე, კერძოდ, არიან თუ არა ისინი რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებასთან კავშირში; ასევე მეტად უნდა მიექცეს ყურადღება დაბალნების საკითხს იმ სიუჟეტებში, რომლებიც უშუალოდ არხის პრობლემატიკას ეძღვნება. გარდა ამისა, არხის მიუკერძოებლობის ხარისხს საგრძნობლად ამაღლებს პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანების მიერ შეკითხვების მიუკერძოებლად დასმა.
- ✓ „მეცხრე არხის“ საქმიანობა აკმაყოფილებს მისაღებ ხარისხს, თუმცა სასურველია ყურადღება გაამახვილდეს წყაროების იდენტიფიცირების გაუმჯობესებაზე, ასევე აღმოიფხვრას ისეთი ტერმინები, როგორიცაა, მაგალითად, „გავრცელებული ინფორმაციით“; მინიმუმადე უნდა იქნეს დაყვანილი როგორც საინფორმაციო, ასევე პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანების სუბიექტური შეფასებები. არხის მიუკერძოებლობის ხარისხის ამაღლებას ხელს შეუწყობს გადაცემა „მატრიცაში“ ბალანსის თემაზე განსაკუთრებული ყურადღების გაამახვილება.
- ✓ „კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებები მოკვლევითი მასალებისა და წყაროების იდენტიფიცირების ხარვეზების მიუხედავად, გამოირჩევა დაბალანსებულობის მაღალი ხარისხით, თუმცა მთლიანობაში არხის მიუკერძოებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ პოლიტიკური თოქ-შოუები და განსაკუთრებით მათი წამყვანები. სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილდეს ამაზე და მაქსიმალურად აღმოიფხვრას წამყვანთა მიკერძოებული შეფასებები, სტერეოტიპული გამონათქვამები.
- ✓ „აჭარის ტელევიზიის“ საქმიანობა სუსტსა და მისაღებს ხარისხს შორის მერყეობს, თუმცა შეფასება სუსტისკენ უფრო მეტად იხრება ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმების შესწავლისას, როგორიც არის ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნა, ბალანსის დაცვა, სიზუსტე. ამასთან, სასურველია არხმა მეტი ყურადღება დაუთმოს პოლიტიკურ პარტიებს და ნეიტრალურად წარმოაჩინოს მათი საარჩევნო სტრატეგია, ანუ პროპორციულად გადაანაწილოს დრო ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების და სხვა პოლიტიკური პარტიების აქტივობების გაშუქებაზე.
- ✓ „25-ე არხი“ აკმაყოფილებს კარგი ხარისხისათვის დადგენილ კრიტერიუმებს, თუმცა სასურველია ყურადღება გაამახვილდეს ფაქტების მეტი სიზუსტით გადმოცემის საკითხზე.
- ✓ „რიონის“ შეფასება მერყეობს სუსტსა და მისაღებ ხარისხს შორის. კარგი იქნება, მეტი ყურადღება დაეთმოს კადრებისა და ტექსტის შესაბამისობას, ასევე ბალანსის დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას.

- ✓ „მეგა ტვ“-ის სრულყოფილი შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია არხზე საინფორმაციო გამოშვებების სიმწირის გამო. შესაბამისად, უმჯობესი იქნება წინასაარჩევნო პერიოდში არხმა მეტი საეთერო დრო გამოეყოს საინფორმაციო გამოშვებებისათვის.